სამადასახადო დავალება

PAYMENT ORDER

8245

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

წარდგენის თარიღი / Document submission date: 24/09/2024

გადამხდელი / sender

შპს სამგორი თაუერსი, 406053915

რეფერენსი / Ref. Num.

ALT012209854

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account

GE82TB7151536050100001

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა / Amount

1636039.00 GEL

თანხა სიტყვიერად Amount in words

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name

შპს სამგორი თაუერსი, 406053915

ერთი მილიონ ექვსას ოცდათექვსმეტი ათას ოცდაცხრამეტი ქართული ლარი 00 თეთრი

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code

406053915

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტი)

გადარიცხვის საკომისიოTransfer Fee

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury

300773306

200.00 GEL

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების / შესრულების თარიღი Document receipt / execution date

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების გაყიდვიდან . საკადასტრო კოდი:N01. 17. 12. 003.273

24/09/2024

ხელმოწერა

Signature

ხელმოწერა

Signature

ბ.ა.

თიბისი ბანკი TBC BANK კოდი CODE TBCBGE22 189051

შეამოწმა ავტომატურად

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციებისწარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას. საგადახდო დავალების შესრულების პირობები და საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

24/09/2024 17:28:58 ALT012209854

ველი ხოკერაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01242552744**
თარიღი: **11/09/2024**

მისამართი: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, სამგორის ქ., N3 (ტელ.: 571275005)
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406053915
ადრესატი: შპს სამგორი თაუერსი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2024 წლის 27 აგვისტოს შემოსული N10/01242401190-61 შემოსული განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების (შემდგომში დადგენილება მე-16[1] მუხლის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრა საპროექტო არეალში/საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრა მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, არანაკლებ 50 კვ.მ.-ს. შესაბამისად, იმ დაინტერესებულ პირთა მიმართ, რომლებსაც სურთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების (ე.წ. „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში) ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საბაზრო ღირებულების დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ე.წ „თეთრი კარკასის“ მდგომარეობა.

ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ 2024 წლის 6 სექტემბრის N16-0124250593 (რეგისტრირებული: N17-0124250897-61 – 06.09.2024წ.) წერილის თანახმად, დაანგარიშებული უძრავი ქონების ფართობის **(731.354კვ.მ)** გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 10 სექტემბრის N006333624 ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი 1 კვ.მ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება (ე.წ „თეთრი კარკასის მდგომარეობით“) შეადგენს **2237 (ორი ათას ორას ოცდაჩვიდმეტი) ლარს, ჯამში - 1636039 (ერთი მილიონ ექვსას ოცდათექვსმეტი ათას ოცდაცხრამეტი) ლარს (მთელ რიცხვამდე დამრგვალებით).**

ზემოთხსენებულის საფუძველზე, **N01.17.12.003.273** საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მშენებლობის მაძიებელი პირის მიერ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 10 სექტემბრის N006333624 ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული უძრავი ქონების (ე.წ „თეთრი კარკასის მდგომარეობით) საბაზრო ღირებულების **(1636039 (ერთი მილიონ ექვსას ოცდათექვსმეტი ათას ოცდაცხრამეტი) ლარი)** გადახდა უნდა განხორციელდეს წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

ღლები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773306

დანიშნულება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების გაყიდვიდან.

ამასთან, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 3 (სამი) თვის ვადაში, მშენებლობის ნებართვის მაძიებლის (დაინტერესებული პირის) მიერ მითითებული საბაზრო ღირებულების გადაუხდელობისა და სააგენტოსთვის განმეორებით წერილობითი მომართვის შემთხვევაში, სააგენტოს შესაბამისი დაგვეთის საფუძველზე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მიერ განხორციელდება **N01.17.12.003.273** საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში მდებარე 1 კვ.მ ფართის (ე.წ „თეთრი კარკასის მდგომარეობით") საბაზრო ღირებულების დადგენა. შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს განახლებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სააგენტო განახორციელებს თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ ღონისძიებებს, რომლის შესახებაც მშენებლობის ნებართვის მაძიებელს (დაინტერესებულ პირს) დამატებით ეცნობება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა (დაინტერესებულმა პირმა) მითითებული საბაზრო ღირებულების გადახდის შემდგომ, სააგენტოსა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებაში უნდა წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 13 (ცამეტი) ფურცელი.

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი